აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 16

07 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 32-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. №79 ბათუმის, №81 ქობულეთისა და №83-ე ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 8 დამხმარე პერსონალის ოდენობით.

2. №80 ქედის, №82 შუახევის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 5 დამხმარე პერსონალის ოდენობით.

3. საოლქო საარჩევნო კომისიებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში ამ განკარგულებით განსაზღვრულ რაოდენობის ფარგლებში დაიქირაონ არანაკლებ ერთი ბუღალტერი და ერთი იურისტი.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია